



**Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Medicine**



**Georgian-Norwegian Collaborative  
Master Program**

**Public Health**

საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი  
სამაგისტრო პროგრამა «საზოგადოებრივი ჯანდაცვა»

პროგრამის აღწერა (თარგმანი)

*«საზოგადოებრივი ჯანდაცვა არის დაავადებათა  
პრევენციის მეცნიერება და ხელოვნება»<sup>1</sup>  
«საზოგადოებრივი ჯანდაცვა ხელს უწყობს და იცავს  
ადამიანების და სოციუმის ჯანმრთელობას იმ  
გარემოში, სადაც ისინი ცხოვრობენ, სწავლობენ...»<sup>2</sup>*

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** საზოგადოებრივი ჯანდაცვა (Public Health)

საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი ინოვაციური სამაგისტრო პროგრამა «საზოგადოებრივი ჯანდაცვა» შემუშავებულია ნორვეგიის განათლების სფეროში საერთაშორისო კოოპერაციის ცენტრის (SIU) მიერ დაფინანსებული პროექტის CPEA-2015/10057 „საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის (თსუ), ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის/ტრომსოს უნივერსიტეტის (ნორვეგია) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით.

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი (MPH)

**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:** ნინო ჩიხლაძე, MD, PhD, ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, მედიცინის ფაკულტეტი, თსუ; პროექტის CPEA-2015/10057 „საქართველო-ნორვეგიის კოლაბორაცია საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ საქართველოს კოორდინატორი.

**საერთაშორისო აკადემიური მრჩეველი:** ტორალფ ჰასვოლდი, პროფესორი ემერიტუსი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი/ ტრომსოს უნივერსიტეტი, ნორვეგია.

**სწავლის ხანგრძლივობა:** 2 წელი (ოთხი სემესტრი)

**კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS

**სწავლების ენა:** ინგლისური

<sup>1</sup> <http://www.euro.who.int/en/health-topics/Health-systems/public-health-services>

<sup>2</sup> <https://www.apha.org/what-is-public-health>

**პროგრამის მიზანი:** სამაგისტრო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო სწავლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სტუდენტზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს პროფესიონალების ახალი თაობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის გლობალური ქსელის გარემოში, უზრუნველყოს დარგში მომავალი ლიდერებისათვის ფართო ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების შექმნა, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

#### **მიღების წინაპირობა:**

- ბაკალავრის დიპლომი ჯანდაცვის მეცნიერებებში ან მომიჯნავე სფეროში (სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები).
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები (მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის);
- საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) ან B2 დონეზე ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

**საერთაშორისო სტუდენტები:** უცხოური უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს უფლება ეძლევათ წარადგინონ აპლიკაცია პროგრამაზე ჩასარიცხად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საიტზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=1131&lang=geo>

#### **პროგრამის დასაწყისი**

პროგრამა ყოველწლიურად იწყება შემოდგომის სემესტრში. ყოველი სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადები ხელმისაწვდომია თსუ-ს ვებ-გვერდზე: <https://www.tsu.ge/>.

**სწავლის შედეგები:** სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს

ა) ცოდნა და გაცნობიერება – ექნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მეთოდების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკასა და კვლევაში აღმოცენებული ეთიკური პრინციპების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა; შეძლებს სირღმისეულად გააცნობიეროს მოსახლეობის ჯანმრთელობის სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს დეტერმინანტები;

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი:

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეძლებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ ახალ და გაუთვალისწინებელ

გარემოში გადაწყვეტას მულტიდისციპლინური მიდგომით; უახლესი ეპიდემიოლოგიური და სტატისტიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეძლებს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, ჯანმრთელობის საჭიროებების შეფასებას, ჯანდაცვის ეკონომიკის პრონციპებზე დაყრდნობით ფინანსური მექანიზმების შემუშავებას; ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებას;

**გ) დასკვნის უნარი** – შეძლებს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში რთული და არასრული ინფორმაციის, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს, რისკის შეფასებას, ჯანდაცვის ეკონომიკის ჭრილში პროცედურების, ინტერვენციების, სტრატეგიების ან პოლიტიკის შეფასებას;

**დ) კომუნიკაციის უნარი** – შეძლებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე თავისი დასკვნების ეფექტურ კომუნიკაციას სპეციალისტებთან და ფართო საზოგადოებასთან ინგლისურ ენაზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების შესაბამისად;

**ე) სწავლის უნარი** – შეძლებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვას, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პროცესის მნიშვნელობის გაცნობიერებას;

**ვ) ღირებულებები** – შეძლებს ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულებების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.

### **სწავლება-სწავლის მეთოდები:**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ✓ ინტერაქტიული ლექციები, სემინარები მულტიმედია პრეზენტაციების და აუდიო/ვიდეო მასალების გამოყენებით
- ✓ მეცადინეობები კომპიუტერულ კლასში, ჯგუფში მუშაობა
- ✓ საშინაო დავალებები და ქვიზები
- ✓ პრეზენტაციები
- ✓ დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში
- ✓ დაკვირვება და საველე მუშაობა
- ✓ შემთხვევაზე, პრობლემაზე, როლურ თამაშზე დაფუძნებული სწავლება
- ✓ კრიტიკული ანალიზის მეთოდი
- ✓ სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა
- ✓ ელექტრონული სწავლების პლატფორმა „Moodle”

სტუდენტზე ორიენტირებული და უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე დაფუძნებული სწავლა/სწავლება ხელს უწყობს საკუთარ განათლებაზე სრული პასუხისმგებლობით სტუდენტების აქტიურ ჩართვას სწავლის განმავლობაში.

### ორგანიზაცია და სტრუქტურა

პროგრამა მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითად პრინციპებს. პროგრამა ფარავს აკადემიური სწავლებისა და კვლევის კომპონენტს. მთლიანად სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (\*1 კრედიტი - 25 საათი), რომელიც შემდეგნაირადაა განაწილებული: 80 კრედიტი გამოყოფილია რვა ძირითადი კურსისთვის (სამ-სამი სავალდებულო კურსი პირველ და მეორე სემესტრებში, ორი სავალდებულო კურსი მესამე სემესტრში). 10 კრედიტი გათვალისწინებულია არჩევითი კურსისთვის, სტუდენტი შეიძლება დარეგისტრირდეს არაუმეტეს 1 არჩევით კურსზე მესამე სემესტრში. მეოთხე სემესტრი განკუთვნილია კვლევითი კომპონენტისთვის-სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი).

|                           |   |   |   |
|---------------------------|---|---|---|
| I სემესტრი<br>30კრედიტი   | მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვა<br>10კრედიტი<br>სავალდებულო | ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I<br>10კრედიტი<br>სავალდებულო    | გარემოს ჯანმრთელობა<br>10კრედიტი სავალდებულო  |
| II სემესტრი<br>30კრედიტი  | ჯანდაცვის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა<br>10კრედიტი<br>სავალდებულო         | ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II<br>10კრედიტი<br>სავალდებულო   | ჯანმრთელობის ხელშეწყობა<br>10კრედიტი სავალდებულო  |
| III სემესტრი<br>30კრედიტი | ბიოეთიკა<br>10კრედიტი<br>სავალდებულო  | კვლევის მეთოდები და სამეცნიერო წერა<br>10კრედიტი<br>სავალდებულო | საერთაშორისო ჯანმრთელობა<br>10კრედიტი გლობალური ჯანმრთელობა 10კრედიტი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პოლიტიკა და პროგრამები<br>10კრედიტი არჩევითი |

|                          |  |
|--------------------------|--|
| IV სემესტრი<br>30კრედიტი | სამაგისტრო ნაშრომი<br>30კრედიტი<br>სავალდებულო |
|--------------------------|--|

თითოეული სემესტრში სააუდიტორიო მეცადინეობები გრძელდება 15 კვირის განმავლობაში. კურსების უმეტესობა ჩატარდება კვირაში ერთხელ ან ორჯერ, თუმცა ზოგიერთი სავალდებულო კურსი (მაგალითად გარემოს ჯანმრთელობა, ბიოეთიკა) და

არჩევითი კურსები შესაძლებელია ჩატარდეს ინტენსიურად კურაციული სახით მოწვეული საერთაშორისო ლექტორის ვიზიტის ან სტუდენტთა მობილობის შემთხვევაში. სასწავლო კურსის ჩატარების ფორმა/ცხრილი წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან.

### სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი არის ორიგინალური კვლევითი პროექტი, რომელსაც ასრულებს სტუდენტი აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით. მესამე სემესტრის ბოლოს სტუდენტი ირჩევს სასურველი თემის სათაურს შემოთავაზებული პროექტების ჩამონათვალის მიხედვით. ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს 40-60 გვერდი, ლიტერატურის გარეშე. სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ნაწერი ნაშრომი და შემდეგ ეტაპზე მოხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება შიდა ექსპერტის მიერ, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სწორედ განსაზღვრული საკვლევი თემა, სამეცნიერო ლიტერატურის გააზრება და კრიტიკული ანალიზი, კვლევის მეთოდოლოგია, დასკვნების ან რეკომენდაციების რელევანტურობა. სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება შიდა ექსპერტების კომისიის მიერ. უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ კურსის აღწერილობა (სილაბუსი).

### შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება შემდეგი შეფასების სისტემით: „საუკეთესო“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, „საკმარისი“, „არადამაკმაყოფილებელი“, „ჩაჭრა“.

| ქულა      | მნიშვნელობა   | შეფასების კლასიფიკაცია |
|-----------|---|------------------------|
| 91% -100% | (A) “საუკეთესო”   | დადებითი               |
| 81% -90%  | (B) “ძალიან კარგი”  | დადებითი               |
| 71% -80%  | (C) “კარგი”   | დადებითი               |
| 61% -70%  | (D) “დამაკმაყოფილებელი”   | დადებითი               |
| 51% -60%  | (E) “საკმარისი”   | დადებითი               |
| 41% -50%  | (FX) “არადამაკმაყოფილებელი”<br>(ჩაჭრა, განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლებით) | უარყოფითი              |
| 0%-40%    | (F) “ჩაჭრა” (სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს კურსი)                            | უარყოფითი              |

თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებულია შეფასების საკუთარი მეთოდები. სტუდენტის საბოლოო ქულა განისაზღვრება გამოცდამდე მიღებული კომპონენტებისა (60%) და საბოლოო გამოცდის (40%) ჯამით. უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ კურსის აღწერილობა (სილაბუსი).

### აკადემიური პატიოსნება და პლაგიატი

„პლაგიატი არის სხვისი ნაშრომის მისაკუთრება ან გამოყენება წყაროს მითითების გარეშე; სხვისი ნაშრომის საკუთრად გამოცხადება“<sup>1</sup>

სტუდენტი ვალდებულია გაიაზროს აკადემიური პატიოსნებისა და პლაგიატის კონცეფცია. იმისათვის, რომ სტუდენტმა პატივი სცეს აკადემიური ეთიკის სტანდარტებსა და თავიდან აირიდოს პლაგიატი, სტუდენტები ინფორმირებულები იქნებიან აკადემიური პატიოსნების, სამეცნიერო კვლევისა და პლაგიატის შესახებ სწავლების პირველივე წელს და ასევე სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევა“ ფარგლებში მესამე სემესტრში.

### **რესურსების აღწერილობა**

სტუდენტები გამოიყენებენ თსუ-ს რესურსებს (საკლასო ოთახები, კომპიუტერული ოთახები, ბიბლიოთეკა, ელექტრონული სწავლების და სწავლის პლატფორმა, ელექტრონულ რესურსებზე წვდომა, როგორცაა HINARI, Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR) და ასევე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რესურსებს (ოთახები, ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ანგარიშები, მონაცემთა ბაზებზე წვდომა, მონაცემები ჯანმრთელობის ეროვნული რეგისტრებიდან).

### **საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი სამაგისტრო პროგრამის პერსონალი**

სტუდენტებს ასწავლიან და ხელმძღვანელობას გაუწევენ თსუ-ს პროფესორები, ექსპერტები დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან და საერთაშორისო ლექტორები, რომელთაც აქვთ შესაბამისი განათლება, აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება.

ნინო ჩიხლაძე - MD, PhD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

პაატა იმნაძე - MD, PhD, თსუ პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ნატა ყაზახაშვილი- MD, PhD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

ქეთევან დადიანი - MD, PhD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

ლაშა ლორია- MD, MPH, PhD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

ნატო ფიცხელაური- MD, MBE, PhD, თსუ პოსტდოქტორანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

გიორგი ლობჯანიძე- MD, PhD, მოწვეული ლექტორი.

ეკატერინე რუაძე- MD, MSc, PMP, მოწვეული ლექტორი.

ნიკოლოზ ჩხარტიშვილი- MD, PhD, მოწვეული ლექტორი.

გიორგი ჩახუნაშვილი- MD, PhD, მოწვეული ლექტორი.

ნუცა ჩიკვაძე- MD, PhD, მოწვეული ლექტორი.

### **საერთაშორისო მოწვეული ლექტორები:**

ტორალფ ჰასვოლდი- პროფესორი ემერიტუსი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

აგე ვიფსტადი - პროფესორი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია.

ერიკ ეიკ ანდა - პროფესორი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია.

### **კურსების აღწერილობები (სილაბუსები)**

გთხოვთ, იხილოთ დეტალური ინფორმაცია NI დანართში.

### **განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება**

თსუ რეგულარულად აფასებს საგანმანათლებლო გარემოსა და ლექტორების მიერ შესრულებულ სამუშაოს. ყოველი სემესტრის ბოლოს, გამოკითხვა ტარდება თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებაში და სტუდენტები ანონიმურად ავსებენ კითხვარს. სტუდენტთა აზრი მნიშვნელოვანი ინდიკატორია სწავლების ეფექტურობის შესაფასებლად, სწავლების მეთოდებისა და კურსის შინაარსის იმ საკითხების გამოსავლენად, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

### **დასაქმების შესაძლებლობა:**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა იძლევა კვალიფიკაციას, რაც მოეთხოვებათ კანდიდატებს ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაწესებულებებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე ორიენტირებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში წამყვან პოზიციებზე თანამდებობის დასაკავებლად.

### **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამაზე, როგორც საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, ასევე საზღვარგარეთ.

### **სტუდენტთა მომსახურება**



თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურების ოფისი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას და უწევს კონსულტაციებს აკადემიური, სოციალური, ჯანმრთელობის და უნარშეზღუდულობის საკითხებზე.

თსუ საერთაშორისო სტუდენტთა ოფისი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას და უწევს კონსულტაციებს საერთაშორისო სტუდენტებს.

გთხოვთ, იხილოთ დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ ინგლისურ ენაზე შემდეგ ლინკზე: <https://www.tsu.ge/en/>

[https://www.tsu.ge/en/prospective\\_students/](https://www.tsu.ge/en/prospective_students/)

### **დამატებითი ინფორმაცია:**

ნორვეგიის განათლების სფეროში საერთაშორისო კოოპერაციის ცენტრის (SIU) მიერ დაფინანსებული პროექტის CPEA-2015/10057 „საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ ხანგრძლივობაა 4 წელი (01.03.16-31.12.19). პროექტის მიზანია საქართველოში საზოგადოებრივ ჯანდაცვაში კომპეტენციების გაძლიერება ახალი, საერთაშორისო, მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის განვითარების გზით. პროექტი მიზნად ისახავს სამაგისტრო დონეზე სტუდენტებს შეასწავლოს საქართველოში ახლად დანერგილი ჯანმრთელობის ეროვნული რეგისტრების დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზის გამოყენება. ამასთანავე პროექტის ფარგლებში რეგისტრებზე დაფუძნებული ეპიდემიოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში არსებული ცოდნის ტრანსფერისათვის ნორვეგიიდან საქართველოში გათვალისწინებულია სტუდენტთა ხანმოკლე და ხანგრძლივი მობილობა ნორვეგიის არქტიკულ უნივერსიტეტში (ნორვეგიაში) ინდივიდუალური კურსებისათვის, ერთობლივი კურსებისათვის, სემესტრული გაცვლისა და სამაგისტრო ნაშრომებზე ხელმძღვანელობისათვის.

თსუ მონაწილეობს ერაზმუს მუნდუსის საგარეო თანამშრომლობის პროგრამაში და სტუდენტების გაცვლისა და მობილობის სხვა პროგრამებში.

### **დიპლომი**

თსუ-ს მიერ მოწოდებული დიპლომის დანართი შეესაბამება ევროპული კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ს ფორმატს. დიპლომის დანართი მოიცავს კურსის დასახელებებს, კრედიტების მოცულობას, შეფასებას და GPA-ს.

## **პროგრამის გეგმა**

| კურსის დასახელება                                     | კურსის სტატუსი (სავალდებულო /არჩევითი) | ლექტორი/ ლექტორები                       | ECTS ჯამური რაოდენობა და საკონტაქტო საათების რ-ბა/ დამოუკიდებელი სამუშაო საათების რ-ბა | კრედიტების განაწილება |    |     |    |      |       |
|---|--|--|--|-----------------------|----|-----|----|------|-------|
|   |  |  |  | სემესტრი              |    |     |    |      |       |
|   |  |  |  | I                     | II | III | IV | ჯამი |       |
| მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვა   | სავალდებულო                            | ნ.ყაზახაშვილი<br>ლ.ლორია                 | 10 ECTS<br>45/205  | 10                    |    |     |    | 10   |       |
| ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I                      | სავალდებულო                            | პ.იმნაძე<br>ერუაძე<br>გ.ჩახუნაშვილი      | 10<br>45/205   | 10                    |    |     |    | 10   |       |
| ჯანმრთელობის ხელშეწყობა                               | სავალდებულო                            | ნ.ჩიხლაძე<br>გ.ლობჯანიძე<br>ნ.ფიცხელაური | 10<br>45/205   | 10                    |    |     |    | 10   |       |
| ჯანდაცვის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა           | სავალდებულო                            | ნ.ყაზახაშვილი<br>ლ.ლორია                 | 10<br>45/205   |                       | 10 |     |    | 10   |       |
| ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II                     | სავალდებულო                            | პ.იმნაძე<br>ერუაძე<br>გ.ჩახუნაშვილი      | 10<br>45/205   |                       | 10 |     |    | 10   |       |
| გარემოს ჯანმრთელობა                                   | სავალდებულო                            | ქ.დადიანი<br>ერუაძე                      | 10<br>45/205   |                       | 10 |     |    | 10   |       |
| ბიოეთიკა  | სავალდებულო                            | ნ.ჩიხლაძე<br>გ.ლობჯანიძე<br>ნ.ფიცხელაური | 10<br>45/205   |                       |    | 10  |    | 10   |       |
| კვლევითი მეთოდები და სამეცნიერო წერა                  | სავალდებულო                            | პ.იმნაძე<br>გ.ჩხარტიშვილი                | 10<br>45/205   |                       |    | 10  |    | 10   |       |
| საერთაშორისო ჯანმრთელობა                              | არჩევითი                               | ნ.ჩიხლაძე<br>გ.ლობჯანიძე<br>ნ.ფიცხელაური | 10<br>30/220   |                       |    | 10  |    | 10   |       |
| დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პოლიტიკა და პროგრამები | არჩევითი                               | ნ.ყაზახაშვილი<br>ლ.ლორია                 | 10<br>30/220   |                       |    |     |    |      | ა5 10 |
| გლობალური ჯანმრთელობა                                 | არჩევითი                               | ლ.ლორია<br>ნ.ჩიკვაძე                     | 10<br>30/220   |                       |    |     |    |      | ა5 10 |
| სამაგისტრო ნაშრომი                                    | სავალდებულო                            |  | 30   |                       |    |     | 30 | 30   |       |
|   |  |  |  | 30                    | 30 | 30  | 30 | 120  |       |

## გამოყენებული წყაროები:

- Standards of World Federation of Medical Education/Standards for Master's Degrees in Medical and Health Professions Education, 2016
- European Core Competencies for MPH Education (ECCMPHE). ASPHER, 2011.
- European Core Competencies for Public Health Professionals, ASPHER, 2011
- Tuning Guidelines of Competence Development in the Study Field of Public Health, 2012
- National Center for Educational Quality Enhancement, National Qualification Framework <http://eqe.gov.ge/eng/static/125/national-qualifications-framework>
- Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Quality Assurance Department guidelines [https://www.tsu.ge/ge/juridical/axad\\_council\\_resolutions/2011/472011](https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/472011)

## პროგრამის განხილვა/დამტკიცება

სამაგისტრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა დამტკიცებულია:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სხდომაზე (15 ნოემბერი 2016 წ.);

მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე №70; 18 ნოემბერი 2016 წ.;

სამაგისტრო პროგრამის დამტკიცებული შინაარსი და სტრუქტურა განხილულია:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი კომისიის სხდომაზე (31 ნოემბერი 2016 წ.)

ნორვეგიის არქტიკულ უნივერსიტეტში სამუშაო შეხვედრაზე (12 დეკემბერი 2016 წ.)

## ანალოგი სამაგისტრო პროგრამები:

Department of Community Medicine, Faculty of Health Sciences, UiT The Arctic University of Norway, Norway

[https://uit.no/utdanning/program?p\\_document\\_id=271255](https://uit.no/utdanning/program?p_document_id=271255)

Lund University, Sweden

<http://www.lunduniversity.lu.se/lubas/i-uoh-lu-VAPHE#description>

Johns Hopkins Bloomberg School of public Health, USA

<http://www.jhsph.edu/academics/degree-programs/master-of-public-health/>

## კომპეტენციების ჩარჩო

კომპეტენციების ჩარჩო აღწერს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან მიღებულ ცოდნას და გამომუშავებულ უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს.

| კურიკულუმის კომპონენტები                            | A<br>ცოდნა და<br>გააზრება | B<br>ცოდნის<br>პრაქტიკაში<br>გამოყენება | C<br>დასკვნის<br>უნარი | D<br>კომუნიკაციის<br>უნარი | E<br>სწავლის<br>უნარი | F<br>ღირებუ<br>ლებები |
|---|---------------------------|---|------------------------|----------------------------|-----------------------|-----------------------|
| მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვა | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I                    | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| ჯანმრთელობის ხელშეწყობა                             | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| ჯანდაცვის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა         | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II                   | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| გარემოს ჯანმრთელობა                                 | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| ბიოეთიკა  | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| კვლევითი მეთოდები და სამეცნიერო წერა                | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| საერთაშორისო ჯანმრთელობა                            | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა                       | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| გლობალური ჯანმრთელობა                               | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
| სამაგისტრო ნაშრომი                                  | ✓                         | ✓                                       | ✓                      | ✓                          | ✓                     | ✓                     |
|   |                           |   |                        |                            |                       |                       |

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი



სასწავლო კურსის სილაბუსი

|  |  |
|--|--|
| სასწავლო კურსის სახელწოდება                  | მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობა<br>Evidence-Based Public Health  |
| ავტორი (ავტორები)                            | ნატა ყაზახაშვილი, თსუ მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი   |
| ლექტორი (ლექტორები)                          | ნატა ყაზახაშვილი, თსუ მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი<br>ტელ: 599 31 37 37<br>ელ-ფოსტა: nata.kazakhstanvili@gmail.com<br>ლამა ლორია, თსუ მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირ. პროფესორი<br>ტელ: 599 40 04 16<br>ელ-ფოსტა: lasha.loria@gmail.com   |
| სასწავლო კურსის კოდი (არსებობის შემთხვევაში) |  |
| სასწავლო კურსის სტატუსი                      | მედიცინის ფაკულტეტი.<br>საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი სამაგისტრო პროგრამა<br>«საზოგადოებრივი ჯანდაცვა»<br>სწავლების ენა- ინგლისური ენა.<br>სავალდებულო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრანტებისათვის   |
| სასწავლო კურსის მიზნები                      | სასწავლო კურსის მიზანია მაგისტრანტმა მიიღოს ღრმა და სისტემური ცოდნა მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ. სასწავლო კურსი ითვალისწინებს მაგისტრანტებს გააცნოს მეცნიერულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. შეასწავლოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფუნდამენტური პრინციპები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის არსი თანამედროვე მსოფლიოში, მისი მიზნები, ფუნქციები, ამოცანები და მოქმედების არეალი. შეასწავლოს ჯანდაცვის სფეროში თემის, საზოგადოების საჭიროებების შეფასება. მაგისტრანტებს მიაწოდოს უახლესი ინფორმაცია: მოსახლეობის ჯანმრთელობის განმსაზღვრელი დეტერმინანტების შესახებ (ოჯახი, განათლება, გარემო ფაქტორები, სოციალური მდგომარეობა და სხვა); ასევე, ჯანმრთელობის გლობალური გამოწვევების შესახებ. ასწავლოს მაგისტრანტებს: მოსახლეობის ავადობისა და მოკვდაობის მიზეზების თაობაზე არსებული სტატისტიკური მასალის შეკრების, სისტემატიზაციის, განხილვისა და ანალიზის წესები. შეასწავლოს მაგისტრანტებს ანალიტიკური მეთოდების გამოყენება ჯანდაცვაში. პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით შეასწავლოს მაგისტრანტებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის გეგმების, პროგრამების და პროექტების შედგენის წესები, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების და ინტერვენციების აუცილებლობის დასაბუთება მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. |
| კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება  | 10 კრედიტი (250 საათი)   |

|   |   |
|---|---|
| <p>სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად</p> | <p>საკონტაქტო - 30 სთ. (15 სთ. - ლექცია, 15 სთ. – სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარი);</p> <p>შუალედური გამოცდა - 2 სთ.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - 3 სთ.</p> <p>დამოუკიდებელი - 215 სთ.</p>  |
| <p>დაშვების წინაპირობები</p>            | <p>სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია.</p>   |
| <p>სწავლის შედეგები</p>                 | <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b><br/> სტუდენტმა კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ იცის:<br/> - მეცნიერულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.<br/> - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფუნდამენტური პრინციპები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის არსი თანამედროვე მსოფლიოში, მისი მიზნები, ფუნქციები, ამოცანები და მოქმედების არეალი.<br/> - მეცნიერული მტკიცებულებების გამოყენებით ჯანდაცვის სფეროში თემის, საზოგადოების საჭიროებების შეფასების მეთოდები.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <p>კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:</p> <p>მოსახლეობის ავადობისა და მოკვდაობის მიზეზების თაობაზე არსებული სტატისტიკური მასალის შეკრება, სისტემატიზაცია, განხილვა და ანალიზი როგორც ცალკეული დაავადებების მიხედვით, ისე ერთიანად.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ანალიტიკური მეთოდების გამოყენება ჯანდაცვაში.</li> <li>- მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის გეგმების, პროგრამების და პროექტების შედგენა</li> <li>- საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების და ინტერვენციების აუცილებლობის დასაბუთება მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.</li> </ul> <p><b>დასკვნის უნარი</b></p> <p>კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:</p> <p>მეცნიერულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ მოძიებული ინფორმაციის (მათ შორის რთული და არასრული ინფორმაციის, ასევე უახლესი კვლევების გამოყენებით) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p> <p>კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:</p> <p>ვერბალური კომუნიკაციის და სხვადასხვა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესრულებული სამუშაოს შინაარსის, პრობლემის აქტუალობის, საკუთარი დასკვნების, მოსაზრებების და არგუმენტაციის, ასევე კვლევის მეთოდების შესახებ</p> |

ინფორმაციის მიწოდება აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, განსხვავებული აზრის მოსმენა, ოპონირება და საკუთარი აზრის დასაბუთება არგუმენტირებულად, იქ სადაც შესაძლებელია მეცნიერული მტკიცებულებებზე დაყრდნობით. აზრის გამოთქმა მეცნიერული კეთილსინდისიერების, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

**სწავლის უნარი**

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

აუდიტორულ მეცადინეობაზე აქტიურობა, სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობა. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება; პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესასწავლად დროის ეფექტურად განაწილება, სწავლის პერიოდში შესრულებული სამუშაოების ჩასაბარებლად დადგენილი ვადების დაცვა; სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ექნება:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობისას წარმოჩენილი უცნობი, რთული და მასშტაბური საკითხების შემდგომი შესწავლის აუცილებლობის დადგენის უნარი. მომავალში შესასწავლი საკითხებიდან პრიორიტეტების განსაზღვრა და სწავლის სწორედ დაგეგმვა.

**ღირებულებები**

სასწავლო პროცესში სხვადასხვა საკითხების თუ შემთხვევების განხილვის შემდეგ მაგისტრანტს ექნება გათავისებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში აღიარებული ეთიკური, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები; ასევე საზოგადოების წევრებთან, პაციენტთან, მის წარმომადგენლებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების დაცვის მნიშვნელობა. მაგისტრანტს გამოუმუშავდება ღირებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობა, ზოგადად ჯანდაცვის სფეროში მოღვაწობა მოითხოვს ჰუმანურ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემაზე, ნდობაზე და კაცთმოყვარეობაზე აგებულ ურთიერთობებს. მაგისტრანტი მიიღებს რა ცოდნას ზოგადად ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღებული და აღიარებული ღირებულებების, ზნეობრივი და მორალური ფასეულობების შესახებ, შესაძლებლობა ექნება გამოხატოს ღირებულებებისადმი თავისი დამოკიდებულება, ასევე შეძლებს სხვების დამოკიდებულების შეფასებას და პატივისცემას, ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.

სასწავლო კურსის შინაარსი

იხ. დანართი 1

სწავლება-სწავლის მეთოდები

- სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდი:
- ინტერაქტიური ლექციები PowerPoint პროგრამაში მომზადებული პრეზენტაციების თანხლებით და დემონსტრირების მეთოდი Video/Audio მასალის გამოყენებით
  - ტესტირება, ქვიზები, სემინარები და ზეპირი გამოკითხვა
  - მუშაობა მცირე ჯგუფებში (collaborative)
  - დისკუსია/დებატები
  - პრობლემაზე/შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება

|  |  |
|--|--|
|  | <ul style="list-style-type: none"> <li>- სტატიის კრიტიკული ანალიზის მეთოდი</li> <li>- ახალი ინფორმაციის მოძიების მეთოდი ე.წ. “Evening News”</li> <li>- გონებრივი იერიში (Brain storming)</li> <li>- ანალიზის და სინთეზის მეთოდი</li> <li>- ახსნა-განმარტებითი მეთოდი</li> </ul>  |
| <p>შეფასების ფორმები/კომპონენტები/ მეთოდები/კრიტერიუმები</p> | <p>შეფასების ფორმები - შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება მოიცავს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შეფასების კომპონენტებია - დასწრება, აქტივობა, შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა.</li> <li>2. შეფასების მეთოდი - სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (მიმდინარე ქვიზი/ტესტი, რეფერატი, პრეზენტაცია, სტატიის კრიტიკული ანალიზი, სიახლეების მოძებნა და დემონსტრირება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, მცირე ჯგუფში მუშაობა, დებატებსა და დისკუსიებში მონაწილეობა, საქმიან თამაშში მონაწილეობა და სხვ); <u>(დეტალურად იხ. დანართი 3)</u></li> <li>3. შეფასების კრიტერიუმი - შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.</li> </ol> <p>შუალედური შეფასება შედგება: დასწრება/აქტიურობა 5 ქულა; მიმდინარე ქვიზები (12 ქვიზი, თითოეული 2 ქულა, სულ 24 ქულა), რეფერატი (2 ქულა) და რეფერატის პრეზენტაცია (4 ქულა), სტატიის კრიტიკული ანალიზი (3 ქულა), Evening News (2 ქულა), ერთი შუალედური გამოცდა (20 ქულა) - სულ 60 ქულა.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.</p> <p>შეფასების კრიტერიუმების დეტალური აღწერა იხილეთ „სტუდენტის ცნობარში“.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</li> <li>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</li> </ul> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის</li> </ul> |



|   |   |
|---|---|
|   | <p>შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;</p> <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 31 ქულა</p>  |
| ძირითადი ლიტერატურა                         | Ross C. Brownson, Elizabeth A. Baker, Terry L. Leet, Kathleen N. Gillespie, William R. True "Evidence-Based Public Health", Second Edition, Oxford University Press, 2011. ISBN 978-0-19-539789-5   |
| დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა | <ul style="list-style-type: none"> <li>- The determinants of health<br/><a href="http://www.who.int/hia/evidence/doh/en/">http://www.who.int/hia/evidence/doh/en/</a></li> <li>- Mary-Jane Schneider "Introduction to Public Health" Fourth Edition, Jones &amp; Bartlett Learning, 2014. ISBN 978-1-4496-9736-5</li> <li>- Stuart Altman and David Shactman, Foreword by Senator John Kerry – "Power, Politics and Universal Health Care". Prometheus Books, 2011. ISBN 978-1-61614-456-2</li> <li>- Julie A. Jacobs, MPH; Ellen Jones, PhD; Barbara A. Gabella, MSPH; Bonnie Spring, PhD; Ross C. Brownson, PhD "Tools for Implementing an Evidence-Based Approach in Public Health Practice"<br/><a href="http://www.cdc.gov/pcd/issues/2012/11_0324.htm">http://www.cdc.gov/pcd/issues/2012/11_0324.htm</a></li> <li>- Evidence-Based Public Health Issues and Concepts<br/><a href="http://www.astho.org/Evidence-Based-Public-Health/Toolkit/Issues-and-Concepts-Executive-Summary/">http://www.astho.org/Evidence-Based-Public-Health/Toolkit/Issues-and-Concepts-Executive-Summary/</a></li> <li>- Evidence-Based Clinical and Public Health: Generating and Applying the Evidence. Developing Healthy People 2020<br/><a href="http://www.healthypeople.gov/2010/hp2020/advisory/pdfs/EvidenceBasedClinicalPH2010.pdf">http://www.healthypeople.gov/2010/hp2020/advisory/pdfs/EvidenceBasedClinicalPH2010.pdf</a></li> </ul> |

დანართი 1

სასწავლო კურსის შინაარსი

|       |  |  |                                   |
|-------|--|--|-----------------------------------|
| კვირა |  | <i>ლექციის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის /პრაქტიკული მეცადინეობის თემა</i> | <i>საათების რაოდენობა კვირაში</i> |
|-------|--|--|-----------------------------------|

|     |   |  |         |
|-----|---|--|---------|
| I   | ლექცია  | თემა: შესავალი. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განმარტება. მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.<br><br>ლიტერატურა: Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie, William R. True “Evidence-Based Public Health” გვ. 3-10   | 1 საათი |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | მუშაობა მცირე ჯგუფებში, სავარჯიშო მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.<br><br>ძირითადი ცნებები და განმარტებები. გვ.273; 276; 278; 279; 282.<br><br>“An Evidence Based View of Public Health”<br><br>Video ლექციის განხილვა<br><br><a href="https://www.youtube.com/watch?v=iL8t16jWCK0">https://www.youtube.com/watch?v=iL8t16jWCK0</a>    | 2 საათი |
| II  | ლექცია  | „მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინა: მსგავსება და განსხვავებანი“<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie, William R. True “Evidence-Based Public Health” გვ. 10-14   | 1 საათი |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | „მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობა - არსის განხილვა პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის არსის განხილვა პრაქტიკული მაგალითების მიხედვით.<br>Defining Evidence Based Public Health<br>Video ლექციის განხილვა.<br><a href="https://www.youtube.com/watch?v=N7uAzYH-T_0">https://www.youtube.com/watch?v=N7uAzYH-T_0</a><br>ქვიზი 1. 2 ქულა | 2 საათი |
| III | ლექცია  | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის სამოქმედო ღონისძიებები: მეცნიერული მტკიცებულების შეფასება. პასუხი კითხვაზე: დაგეგმილი ღონისძიებები საკმარის ინფორმაციას ეყრდნობა? საკმარისადაა დასაბუთებული?<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie, William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.35-39  | 1 საათი |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | მეცნიერულ მტკიცებულებათა მოძიების პრინციპები. აქტუალურ საკითხებზე კოლეგათა შეხედულებები. რეცენზიები (peer review)<br>Framework for Evidence Based Public Health<br>Video ლექციის განხილვა.<br><a href="https://www.youtube.com/watch?v=_etctHCE1To">https://www.youtube.com/watch?v=_etctHCE1To</a><br>ქვიზი 2. 2 ქულა   | 2 საათი |
| IV  | ლექცია  | მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორები. ჯანმრთელობის დეტერმინანტები.<br>The determinants of health<br><a href="http://www.who.int/hia/evidence/doh/en/">http://www.who.int/hia/evidence/doh/en/</a>   | 1 საათი |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 3. 2 ქულა  | 2 საათი |
| V   | ლექცია  | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემები. პრობლემის გამომწვევი მიზეზების შეფასების კრიტერიუმები<br><br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie,   | 1 საათი |

|      |   |  |         |
|------|---|--|---------|
|      |   | William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.40-43  |         |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის აქტუალური პრობლემები.<br>პრაქტიკული შემთხვევების განხილვა.<br><br>ქვიზი 4. 2 ქულა  | 2 საათი |
| VI   | ლექცია  | ანალიტიკური მეთოდების გამოყენება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie,<br>William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.60-66   | 1 საათი |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული სამუშაო: საჭირო ლიტერატურის მოძიება<br><br>ქვიზი 5. 2 ქულა  | 2 საათი |
| VII  | ლექცია  | ჯანდაცვის სფეროში თემის საჭიროებების შეფასება<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie,<br>William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.101-106  | 1 საათი |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ჯანდაცვის სფეროში თემის საჭიროებების შეფასების პრაქტიკული მაგალითების განხილვა   | 2 საათი |
|      |   | <b>შუალედური გამოცდა</b>   |         |
| VIII | ლექცია  | თემის საჭიროებების შეფასება: მონაცემთა შეკრება<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie,<br>William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.106-116   | 1 საათი |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | თემის საჭიროებების შეფასების პრაქტიკული მაგალითების განხილვა<br>ქვიზი 6. 2 ქულა  | 2 საათი |
| IX   | ლექცია  | საზოგადოების ჯანმრთელობის პრობლემის წარმოჩენა. თემის საჭიროებების შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტები.<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie,<br>William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.117 - 127   | 1 საათი |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | საზოგადოების ჯანმრთელობის პრობლემის განხილვის პრაქტიკული მაგალითი. განსახილველი საკითხის კომპონენტებად (შემადგენელ ნაწილებად) დაყოფა.<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie,<br>William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.120 - 127<br>ქვიზი 7. 2 ქულა | 2 საათი |
| X    | ლექცია  | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემის წარმოჩენა რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით.<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie,<br>William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.133-144  | 1 საათი |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | სოციალურად მნიშვნელოვანი რამდენიმე დაავადების განხილვა რაოდენობრივ ჭრილში.<br>ქვიზი 8. 2 ქულა  | 2 საათი |
| XI   | ლექცია  | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზედამხედველობის სისტემის მოკლე მიმოხილვა.  | 1 საათი |


|      |   |   |         |
|------|---|---|---------|
|      |   | Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie, William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.144-155   |         |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული სამუშაო: ვიტალური სტატისტიკის მიმოხილვა ცალკეული ქვეყნების მიხედვით.<br><br>ქვიზი 9. 2 ქულა; მაგისტრანტების მიერ “Evening News“ წარმოდგენა - 2 ქულა  | 2 საათი |
| XII  | ლექცია  | მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში. საჭირო ლიტერატურის ძიება და სისტემატიზაცია.<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie, William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.158-174                            | 1 საათი |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | მაგისტრანტების მიერ “Evening News“ წარმოდგენა - 2 ქულა<br>ქვიზი 10. 2 ქულა;   | 2 საათი |
| XIII | ლექცია  | მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებათა განხორციელება. ჩარევის ღონისძიებების პრიორიტეტულობის განსაზღვრა და დასაბუთება.<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie, William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.178-174 | 1 საათი |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული მაგალითის განხილვა: ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება.<br>ქვიზი 11. 2 ქულა;  | 2 საათი |
| XIV  | ლექცია  | საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის შეფასების ძირითადი პრინციპები.<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie, William R. True “Evidence-Based Public Health” გვ.232-252  | 1 საათი |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | მაგისტრანტების მიერ სტატისტიკის კრიტიკული ანალიზის წარმოდგენა - 3 ქულა<br>ქვიზი 12. 2 ქულა;   | 2 საათი |
| XV   | ლექცია  | მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გადაუდებელი საკითხები.<br>Ross C. Brownson, Elizabeth A.Baker, Terry L. Leet, Kathleen N.Gillespie, William R. True “Evidence-Based Public Health” pg.259 - 272  | 1 საათი |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | მაგისტრანტების მიერ რევერატების და პრევენციების წარმოდგენარევერატის შეფასება: 2 ქულა<br>პრევენციის შეფასება: 4 ქულა. კურსის საბოლოო მიმოხილვა.  | 2 საათი |
|      |   | <b>დასკვნითი გამოცდა</b>  |         |
|      |   |   |         |

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი



სასწავლო კურსის სილაბუსი

|                          |   |
|--------------------------|---|
| <b>კურსის დასახელება</b> | ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I  |
| <b>ავტორი(ები)</b>       | პაატა იმნაძე, MD, PhD, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.<br>ეკატერინე რუაძე, MD, MSc, PMP, მოწვეული ლექტორი  |
| <b>ლექტორი(ები)</b>      | <ol style="list-style-type: none"> <li>1. პაატა იმნაძე, MD, PhD, სრული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.<br/>ტელ: 599 90 68 53 ელ-ფოსტა: pimnadze@ncdc.ge</li> <li>2. ეკატერინე რუაძე, MD, MSc, PMP ლექტორი ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკაში<br/>ტელ: 595 62 32 75, ელ-ფოსტა: e.ruadze@ncdc.ge</li> <li>3. გიორგი ჩახუნაშვილი, MD, PhD, ლექტორი ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკაში<br/>ტელ: ელ-ფოსტა: gio.ncdc@gmail.com</li> </ol> |
| <b>კურსის კოდი</b>       |   |
| <b>კურსის სტატუსი</b>    |  <p>მედიცინის ფაკულტეტი.<br/>საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი სამაგისტრო პროგრამა «საზოგადოებრივი ჯანდაცვა»<br/>სწავლების ენა- ინგლისური ენა.<br/>სავალდებულო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრანტებისათვის</p>   |
| <b>კურსის მიზანი</b>     | კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკაში, კერძოდ გააცნოს დაავადებების გავრცელების სიხშირე, მოსახლეობის ჯანმრთელობის  |

|   |   |
|---|---|
|   | ინდიკატორები, ეპიდ-აფეთქების შესწავლის პრინციპები და ა.შ. ასევე გააცნოს სტატისტიკის ძირითადი პრინციპები (სარწმუნოების ინტერვალი, P - მნიშვნელობა). ეს არის მოსამზადებელი კურსის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის მომდევნო კურსისათვის.   |
| საკონტაქტო საათები და დამოუკიდებელი მუშაობა | <p>10 კრედიტი (250 საათი)</p> <p>საკონტაქტო დრო – 60საათი (ლექცია - 30 საათი პრაქტიკული/სემინარი /ჯგუფური სამუშაო -30საათი);</p> <p>შუალედური გამოცდა -2საათი.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - 2 საათი.</p> <p>დამოუკიდებელი - 186 საათი</p>   |
| წინაპირობები                                | არ აქვს წინაპირობა  |
| II  | ლექცია  | როგორ წავიკითხოთ და გავიგოთ სამეცნიერო ნაშრომი. Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.   | 1 |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | კურსის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული სამეცნიერო ნაშრომების განხილვა<br><br><b>საშინაო დავალება:</b> ყურადღებით გაეცანით კურსის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებულ სამეცნიერო ნაშრომებს შემდგომი სემინარისთვის,   | 2 |
| III | ლექცია  | კვლევითი მეთოდების მიმოხილვა I: კვლევის ტიპები. Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.   | 1 |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | კვლევის დიზაინების პრაქტიკული მიმოხილვა კურსის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული სამეცნიერო სტატიების მიხედვით   | 2 |
| IV  | ლექცია  | კვლევითი მეთოდების მიმოხილვა II: მონაცემთა მართვა და ანალიზი. Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.   | 1 |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | მონაცემთა ბაზის წარდგენა, რომელიც გამოყენებული იქნება კურსის დროს მონაცემთა ანალიზისა და სამეცნიერო ნაშრომის დასაწერად   | 2 |

|     |   |  |   |
|-----|---|--|---|
|     |   |  |   |
| V   | ლექცია  | <p>კვლევის მონაცემების გავრცელება: სასტენდო მოხსენება, სიტყვიერი მოხსენება, სამეცნიერო სტატია. თეზისის მომზადება კონფერენციისათვის.</p> <p>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i>. 2<sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.</p>                | 1 |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | <p>საკურსო მონაცემთა ბაზის ანალიზი</p> <p><b>საშინაო დავალება:</b> მონაცემთა ანალიზის შედეგების საფუძველზე ცხრილების/დიაგრამების მომზადება</p>   | 2 |
| VI  | ლექცია  | <p>სამეცნიერო სტატიის მომზადება რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად I: სტატიის სტრუქტურა, ჟურნალის შერჩევა, ინსტრუქციების შესწავლა.</p> <p>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i>. 2<sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.</p> | 1 |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | <p>წინა საშინაო დავალების მიმოხილვა. საკურსო მონაცემთა ბაზის ანალიზის დასრულება.</p> <p><b>საშინაო დავალება:</b> მოამზადეთ თეზისი კონფერენციისათვის საბოლოო ანალიზის შედეგების მიხედვით.</p>   | 2 |
| VII | ლექცია  | <p>სამეცნიერო სტატიის მომზადება რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად II: მეთოდებისა და შედეგების სექციების მომზადება.</p> <p>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i>. 2<sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.</p>                | 1 |

|      |   |  |   |
|------|---|--|---|
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | წინა საშინაო დავალების მიმოხილვა.<br><b>საშინაო დავალება:</b> მეთოდებისა და შედეგების სექციების მოზმადება საკურსო სტატიისათვის   | 2 |
|      |   | <b>შუალედური გამოცდა</b>   |   |
| VIII | ლექცია  | სამეცნიერო სტატიის მომზადება რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად III: შესავალი სექციის მომზადება.<br>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.                   | 1 |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | წინა დავალებების განხილვა<br><b>საშინაო დავალება:</b> შესავალი სექციის მომზადება საკურსო სტატიისათვის  | 2 |
| IX   | ლექცია  | სამეცნიერო სტატიის მომზადება რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად IV: განსჯის სექციის მომზადება.<br>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.                     | 1 |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | წინა დავალების განხილვა. გამოყენებული ლიტერატურის ფორმატირება, შესაბამისი პროგრამები.<br><b>საშინაო დავალება:</b> განსჯის სექციის მომზადება საკურსო სტატიისათვის   | 2 |
| X    | ლექცია  | სამეცნიერო სტატიის მომზადება რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად V: სტატიის დასრულებდა წარდგენა; სტატიის გადახედვა.<br>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013. | 1 |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | წინა დავალების მიმოხილვა. სტატიის წარდგენის საფეხურების მიმოხილვა, თანმხლები წერილის მომზადება.  | 2 |



|      |   |   |             |
|------|---|---|-------------|
|      |   | საშინაო დავალება: საკურსო სტატიის დასრულება   |             |
| XI   | ლექცია  | ეთიკის საკითხები პუბლიკაციისას. აკადემიური პატიოსნება და პლაგიატიზმი.<br>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.           | 1           |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | წინა დავალების განხილვა. ტესტი სტატიის მომზადების საკითხებზე.<br><br>საშინაო დავალება: რეფერირება/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის შერჩევა, რომლის საფუძველზეც მომზადდება საკურსო მოხსენება   | 2<br><br>15 |
| XII  | ლექცია  | სამეცნიერო მოხსენება: სასტენდო და სიტყვიერი მოხსენებები.<br>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.                        | 1           |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | სლაიდების მოზადება სამეცნიერო მოხსენებისათვის<br><br>საშინაო დავალება: სლაიდების მომზადება მოხსენებისათვის  | 2           |
| XIII | ლექცია  | საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული რეალური მოხსენებების კრიტიკული შეფასება.<br>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013. | 1           |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | დისკუსია. წინა დავალების განხილვა.<br><br>საშინაო დავალება: სიტყვიერი მოხსენების მომზადება  | 2           |
| XIV  | ლექცია  | Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013.  | 1           |

|    |   |  |   |
|----|---|--|---|
|    | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | სტუდენტთა მოხსენებები  | 2 |
| XV | ლექცია  | პროექტის აღწერილობა (გაგრძელება). კურსის მიმოხილვა დასკვნითი გამოცდისთვის.<br>Cargill M, O'Connor P. <i>Writing scientific research articles : strategy and steps</i> . 2 <sup>nd</sup> ed. Chichester, UK ; Hoboken, NJ: Wiley-Blackwell; 2013. | 1 |
|    | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | სტუდენტთა მოხსენებები. კურსის შეფასება.  | 2 |
|    |   | დასკვნითი გამოცდა  |   |

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი



სასწავლო კურსის სილაბუსი

|  |  |
|--|--|
| სასწავლო კურსის სახელწოდება                  | დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და პროგრამები.<br>“Maternal and Child Health Policy and Programs”.  |
| ავტორი (ავტორები)                            | ნატა ყაზახაშვილი, თსუ მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი   |
| ლექტორი (ლექტორები)                          | ნატა ყაზახაშვილი, თსუ მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი<br>ტელ: 599 31 37 37<br>ელ-ფოსტა: nata.kazakhstanvili@gmail.com<br>ლაშა ლორია, თსუ მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირ. პროფესორი<br>ტელ: 599 40 04 16<br>ელ-ფოსტა: lasha.loria@gmail.com   |
| სასწავლო კურსის კოდი (არსებობის შემთხვევაში) |  |
| სასწავლო კურსის სტატუსი                      |  <p>მედიცინის ფაკულტეტი.<br/>საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი სამაგისტრო პროგრამა<br/>«საზოგადოებრივი ჯანდაცვა»<br/>სწავლების ენა- ინგლისური ენა.<br/>სავალდებულო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრანტებისათვის</p>  |
| სასწავლო კურსის მიზნები                      | <p>„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და პროგრამები“ სასწავლო კურსის მიზანია იმ საკითხების შესწავლა, რომელიც დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის ფორმირებას უკავშირდება. სასწავლო კურსი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას განიხილავს, როგორც გლობალური ჯანმრთელობის პოლიტიკის შემადგენელ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტებს მიეწოდებათ ინფორმაცია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შემუშავების ძირითადი პრინციპების შესახებ. ამ მიზნით სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, დაავადებათა კონტროლის მსოფლიო ცენტრის და განვითარებული ქვეყნების მიერ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის თაობაზე შემუშავებული ნაციონალური პოლიტიკის შესახებ. სასწავლო პროცესში მაგისტრანტები შეისწავლიან დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნების მაგალითზე. სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდებული და მრავალ ქვეყანაში აპრობირებული პროგრამები, ასევე დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მოწოდებული ისეთი ეფექტური ღონისძიებები და ინტერვენციები, როგორცაა ქალთა და ბავშვთა დაავადებების ადრეული აღმოჩენის სკრინინგული პროგრამები, ანტენატალური მეთვალყურეობის თანამედროვე პროგრამა, იმუნიზაციის, ბუნებრივი კვების მხარდაჭერის, ბავშვთა დაავადებების ინტეგრირებული მართვის და სხვა პროგრამები.</p> <p>სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან შემდეგ საკითხებს: დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები მსოფლიოში; ქალები და ბავშვები, როგორც მოსახლეობის მაღალი რისკის ჯგუფები; დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სფეროში მიღებული ძირითადი ცნებები და განმარტებები, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლები; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, როგორც გლობალური პოლიტიკის პრიორიტეტები, ათასწლეულის განვითარების მიზნები. დედათა და ბავშვთა უფლებები, სამართლიანობა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში, ოჯახის, ქორწინების</p> |

|   |   |
|---|---|
|   | და რეპროდუქციული ჯანმრთელობის აქტუალური საკითხები, ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე და სხვა.  |
| <b>კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად</b> | <p>10 კრედიტი (250 საათი)</p> <p>საკონტაქტო - 45 სთ. (15 სთ. - ლექცია, 30 სთ. – სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარი);</p> <p>შუალედური გამოცდა - 2 სთ.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - 3 სთ.</p> <p>დამოუკიდებელი - 200 სთ.</p>  |
| <b>დაშვების წინაპირობები</b>  | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია.  |
| <b>სწავლის შედეგები</b>   | <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <p>სტუდენტმა კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობა.</li> <li>- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შემუშავების ფუნდამენტური პრინციპები, გლობალური ჯანმრთელობის არსი და მისი პრიორიტეტები.</li> <li>- ათასწლეულის განვითარების მიზნები, ამოცანები და მისი განხორციელების მდგომარეობა თანამედროვე მსოფლიოში</li> <li>- გლობალური ვიტალური სტატისტიკა და მათ შორის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი მონაცემები. ასევე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის, სპონტანური აბორტების, მკვდრადშობადობის, ნაადრევი მშობიარობის, საკეისრო კვეთის და სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები.</li> <li>- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შემუშავების წესები.</li> <li>- დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის პროგრამების და პროექტების ეფექტურობის შეფასების პრინციპები.</li> </ul> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <p>კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:</p> <p>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შემუშავებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეკრება; ქალთა და ბავშვთა მოსახლეობის ავადობისა და მოკვდაობის მიზეზების თაობაზე არსებული სტატისტიკური მასალის შეკრება, სისტემატიზაცია, განხილვა და ანალიზი როგორც ცალკეული დაავადებების მიხედვით, ისე ერთიანად.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ანალიტიკური მეთოდების გამოყენება დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის პროგრამების შესამუშავებლად.</li> <li>- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სტრატეგიული გეგმის,</li> </ul> |

## პროგრამის და პროექტის შედგენა

- დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების და ინტერვენციების აუცილებლობის დასაბუთება როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილების, ასევე კონკრეტული ქვეყნის და/ან რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით.

- დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის პროგრამების და პროექტების ეფექტურობის შეფასება.

## დასკვნის უნარი

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის (მათ შორის რთული და არასრული ინფორმაციის, ასევე უახლესი კვლევების გამოყენებით) სამეცნიერო სტატიების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

## კომუნიკაციის უნარი

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

ვერბალური კომუნიკაციის და სხვადასხვა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის საკითხებზე შესრულებული სამუშაოს შინაარსის, პრობლემის აქტუალობის, საკუთარი დასკვნების, მოსაზრებების და არგუმენტაციის, ასევე კვლევის მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, განსხვავებული აზრის მოსმენა, აკადემიურ წრეებში მიღებული წესების დაცვით ოპონირება და საკუთარი აზრის დასაბუთება არგუმენტირებულად, იქ სადაც შესაძლებელია მსჯელობის დროს მეცნიერული მტკიცებულებების გამოყენება. აზრის გამოთქმა მეცნიერული კეთილსინდისიერების, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

## სწავლის უნარი

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, დისკუსიებსა და დებატებში აქტიური მონაწილეობა. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება; პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესასწავლად დროის ეფექტურად განაწილება, სწავლის პერიოდში შესრულებული სამუშაოების ჩასაბარებლად დადგენილი ვადების დაცვა; დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობისას წარმოჩენილი უცნობი, რთული და მასშტაბური საკითხების შემდგომი შესწავლის

|   |  |
|---|--|
|   | <p>აუცილებლობის დადგენის უნარი. შესასწავლი საკითხების ნუსხიდან პრიორიტეტების განსაზღვრა და სწავლის სწორედ დაგეგმვა.</p> <p><b>ღირებულებები</b><br/> სასწავლო პროცესში სხვადასხვა საკითხების თუ შემთხვევების განხილვის შემდეგ მაგისტრანტს ექნება გათავისებული ჯანდაცვის სფეროში აღიარებული ეთიკური, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები; ასევე საზოგადოების წევრებთან, პაციენტთან, მის წარმომადგენლებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების დაცვის მნიშვნელობა. მაგისტრანტს ეცოდინება, რომ დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობა მოითხოვს ფაქიზ მიდგომას, ჰუმანურ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემაზე, ნდობაზე და კაცთმოყვარეობაზე აგებულ ურთიერთობებს. მაგისტრანტი მიიღებს რა ცოდნას ზოგადად ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღებული და აღიარებული ღირებულებების, ზნეობრივი და მორალური ფასეულობების შესახებ, შესაძლებლობა ექნება გამოხატოს ღირებულებებისადმი თავისი დამოკიდებულება, ასევე შეძლებს სხვების დამოკიდებულების შეფასებას და პატივისცემას, ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.</p>   |
| <p><b>სასწავლო კურსის შინაარსი</b></p>                              | <p>იხ. დანართი 1</p>   |
| <p><b>სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>                             | <p>დანართი 3.</p>  |
| <p><b>შეფასების ფორმები/კომპონენტები/ მეთოდები/კრიტერიუმები</b></p> | <p>შეფასების ფორმები - შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება მოიცავს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შეფასების კომპონენტებია - დასწრება, აქტივობა, შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა.</li> <li>2. შეფასების მეთოდი - სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (მიმდინარე ქვიზი/ტესტი, რეფერატი, პრეზენტაცია, სტატიის კრიტიკული ანალიზი, სიახლეების მოძებნა და დემონსტრირება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, მცირე ჯგუფში მუშაობა, დებატებსა და დისკუსიებში მონაწილეობა, საქმიან თამაშში მონაწილეობა და სხვ); <u>(დეტალურად იხ. დანართი 3)</u></li> <li>3. შეფასების კრიტერიუმი - შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.</li> </ol> <p>შუალედური შეფასება შედგება: დასწრება 5 ქულა, აქტივობა: მიმდინარე ქვიზები(12 ქვიზი, თითოეული 2 ქულა, სულ 24 ქულა), რეფერატი (2 ქულა) და რეფერატის პრეზენტაცია (4 ქულა), სტატიის კრიტიკული ანალიზი (3 ქულა), Evening News (2 ქულა), ერთი შუალედური გამოცდა (20 ქულა) - სულ 60 ქულა, 60%</p> <p>დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა, 40%</p> <p>შეფასების კრიტერიუმების დეტალური აღწერა იხილეთ „სტუდენტის ცნობარში“.</p> |

|   |   |
|---|---|
|   | <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;</p> <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 31 ქულა.</p> |
| <p><b>ძირითადი ლიტერატურა</b></p>                         | <p>Jonathan B. Kotch “Maternal and Child Health Programs, Problems, and Policy in Public Health”, Third Edition. Jones &amp; Bartlett Learning, 2013. ISBN 978-1-4496-1159-0</p> <p>Glossary of Common MCH Terms and Acronyms. General Terms and Definitions <a href="http://www.mchnavigator.org/documents/Glossary_of_MCH_Terms_and_Acronyms_2012-11-17.pdf">http://www.mchnavigator.org/documents/Glossary_of_MCH_Terms_and_Acronyms_2012-11-17.pdf</a></p>  |
| <p><b>დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p> | <p>1. Mary-Jane Schneider. Introduction to Public Health. Fourth Edition. Jones &amp; Bartlett Learning. 2014.<br/>Chapter 18. Maternal and Child Health as a Social Problem pp 303-325<br/>ISBN 978-1-4496-9736-5</p> <p>2. Maternal and Infant Health<br/><a href="http://www.cdc.gov/reproductivehealth/maternalinfanthealth/">http://www.cdc.gov/reproductivehealth/maternalinfanthealth/</a></p> <p>3. Global Health Policy - The U.S. Government and Global Maternal &amp; Child</p>  |

Health Efforts

<http://kff.org/global-health-policy/fact-sheet/the-u-s-government-and-global-maternal-and-child-health/>

4. Dale B. Hahn, Wayne A. Payne, Ellen B. Lucas “Focus on Health”. 2011 Chapter 12. Bonds Between People. pp322; Marriage. pp 327. Managing Your Fertility pp 332 – 358.

5. საერთაშორისო კონვენცია “ბავშვის უფლებების შესახებ” 1989 წლის 20 ნოემბერი

6. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები სახელმწიფო პროგრამები.

[www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)

7. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მასალა იხ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

8. WHO - Global Strategy for Women's and Children's Health.

<http://www.who.int/pmnch/activities/jointactionplan/en/>

9. WHO - Maternal, newborn, child and adolescent health

[http://www.who.int/maternal\\_child\\_adolescent/topics/maternal/en/](http://www.who.int/maternal_child_adolescent/topics/maternal/en/)

10. W. Henry Mosley – “Enhancing the Resourcefulness of Households and Communities for the Production of Health “ Bill and Melinda Gates Institute for Population and Reproductive Health, Johns Hopkins Bloomberg School of Public Health. September 13, 2005

<http://www.starguide.dreamhosters.com/HHPH/sectionB/>

11. Antonio Durán, WHO Consultant – “Sharing experiences in Health Policy development in Europe” Workshop, Tallinn, Estonia. March 7, 2006,

12. Anne Mills – “Enhancing Health Systems Performance and Mobilizing Resources”. London School of Hygiene and Tropical Medicine

[www.dcp2.org](http://www.dcp2.org)

13. Peter A. Berman, Ph.D.; Thomas J. Bossert, Ph.D. “Data for Decision Making” Project International Health Systems Group. Harvard School of Public Health

[ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა \(2010\)](#)

[ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა \(2005\)](#)

[ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა \(1999/2000\)](#)

<http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=139>

15. Maternal and Child health: A Basic Part of Public Health

<http://www.eolss.net/sample-chapters/c03/e6-59-02-08.pdf>

16. WHO Statistical Information System (WHOSIS)

<http://www.who.int/whosis/en/>



სასწავლო კურსის შინაარსი

| კვირა |   | ლექციის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის /პრაქტიკული მეცადინეობის თემა   | საათების რაოდენობა კვირაში |
|-------|---|---|----------------------------|
| I     | ლექცია  | <p><b>თემატიკა:</b> დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და პროგრამები. შესავალი. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მნიშვნელობა ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური განვითარებისთვის.</p> <p><b>ლიტერატურა:</b></p> <p>Jonathan B. Kotch - „Maternal and Child Health” Programs, Problems, and Policy in Public Health. Jones and Bartlett Learning, Third Edition, 2013. pp 1-11</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა:</b> WHO - Maternal, newborn, child and adolescent health<br/> <a href="http://www.who.int/maternal_child_adolescent/topics/maternal/en/">http://www.who.int/maternal_child_adolescent/topics/maternal/en/</a></p> |                            |
|       | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | დისკუსია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ. წეს-ჩვეულებების, კულტურის და ტრადიციების გავლენა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე   |                            |
| II    | ლექცია  | <p>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ფორმირება. ჯანმრთელობის რესურსები. ჯანმრთელი ოჯახიდან ჯანმრთელ საზოგადოებამდე.</p> <p><b>ლიტერატურა:</b></p> <p>Jonathan B. Kotch - „Maternal and Child Health” Programs, Problems, and Policy in Public Health. Jones and Bartlett Learning, Third Edition, 2013. pp 35-65</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა:</b></p>  |                            |

|     |   |  |  |
|-----|---|--|--|
|     |   | Maternal and Child health: A Basic Part of Public Health<br><a href="http://www.eolss.net/sample-chapters/c03/e6-59-02-08.pdf">http://www.eolss.net/sample-chapters/c03/e6-59-02-08.pdf</a>  |  |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 1. 2 ქულა<br>ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ბლუმბერგის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის პროფესორის აუდიო ლექციის განხილვა (პირველი ნაწილი)<br>W. Henry Mosley – “Enhancing the Resourcefulness of Households and Communities for the Production of Health “ Bill and Melinda Gates Institute for Population and Reproductive Health, Johns Hopkins Bloomberg School of Public Health. September 13, 2005<br><a href="http://www.starguide.dreamhosters.com/HHPH/sectionB/">http://www.starguide.dreamhosters.com/HHPH/sectionB/</a>                     |  |
| III | ლექცია  | გლობალური ჯანმრთელობის პრიორიტეტები. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მნიშვნელობა გრძელვადიან პერსპექტივაში.<br><b>ლიტერატურა:</b><br>Jonathan B. Kotch - „Maternal and Child Health” Programs, Problems, and Policy in Public Health. Jones and Bartlett Learning, Third Edition, 2013. pp 65-87  |  |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 2. 2 ქულა.<br>ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ბლუმბერგის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის პროფესორის აუდიო ლექციის განხილვა(მეორე ნაწილი)<br><b>ლიტერატურა:</b><br>W. Henry Mosley – “Enhancing the Resourcefulness of Households and Communities for the Production of Health “ Bill and Melinda Gates Institute for Population and Reproductive Health, Johns Hopkins Bloomberg School of Public Health. September 13, 2005<br><a href="http://www.starguide.dreamhosters.com/HHPH/sectionB/">http://www.starguide.dreamhosters.com/HHPH/sectionB/</a> |  |
| IV  | ლექცია  | დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა. ჯანმოს მიერ მოწოდებული ტერმინოლოგია. ძირითადი ცნებები და განმარტებები<br><b>ლიტერატურა:</b><br>Glossary of Common MCH Terms and Acronyms. General Terms and Definitions<br><a href="http://www.mchnavigator.org/documents/Glossary_of_MCH_Terms_and_Acronyms_2012-11-17.pdf">http://www.mchnavigator.org/documents/Glossary_of_MCH_Terms_and_Acronyms_2012-11-17.pdf</a>   |  |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 3. 2 ქულა<br>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღებული აბრავიატურებისა და შემოკლებების მნიშვნელობის განხილვა.   |  |
| V   | ლექცია  | დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა. ძირითადი მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდოლოგია.<br><b>ლიტერატურა:</b><br>გაეროს და ჯანმოს ევროპის რეგიონული ბიუროს მიერ რეკომენდებული განსაზღვრებების და მაჩვენებლების განმარტებითი ლექსიკონი (2009 წლის სტატისტიკური ცნობარის დანართი)<br><a href="http://www.ncdc.ge/uploads/statistics/cnobar/2009.pdf">http://www.ncdc.ge/uploads/statistics/cnobar/2009.pdf</a>   |  |

|      |   |  |  |
|------|---|--|--|
|      |   | WHO Statistical Information System (WHOSIS)<br><a href="http://www.who.int/whosis/en/">http://www.who.int/whosis/en/</a>   |  |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 4. 2 ქულა<br>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების გამოთვლა პრაქტიკული მაგალითების მიხედვით.   |  |
| VI   | ლექცია  | დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა: გლობალური სტატისტიკა. ფაქტები და მონაცემები.<br><b>ლიტერატურა:</b><br>Jonathan B. Kotch - „Maternal and Child Health” Programs, Problems, and Policy in Public Health. Jones and Bartlett Learning, Third Edition, 2013. pp 105-117<br>Maternal health<br><a href="http://www.who.int/topics/maternal_health/en/">http://www.who.int/topics/maternal_health/en/</a>   |  |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 5. ქულა 2  |  |
| VII  | ლექცია  | დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები მსოფლიოში .  |  |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | დისკუსია   |  |
|      |   | <b>შუალედური გამოცდა</b>   |  |
| VIII | ლექცია  | დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის პრინციპები. სპეციალური კვლევის დაგეგმვა, დიზაინი, ორგანიზაცია და კვლევის მეთოდები.<br><u>ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა (2010)</u><br><u>ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა (2005)</u><br><u>ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა (1999/2000)</u><br><a href="http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&amp;mid=139">http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&amp;mid=139</a><br><a href="http://www.openepi.com/SampleSize/SSPropor.htm">http://www.openepi.com/SampleSize/SSPropor.htm</a> |  |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 6. ქულა 2  |  |
| IX   | ლექცია  | დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორები.<br><b>ლიტერატურა:</b><br>Jonathan B. Kotch - „Maternal and Child Health” Programs, Problems, and Policy in Public Health. Jones and Bartlett Learning, Third Edition, 2013. pp 137-169<br>Nata Kazakhashvili “STI and Maternal and Children Health, Georgia   |  |

|     |   |  |  |
|-----|---|--|--|
|     |   | 2000-2012” (Oral presentation). The fifth congress of Obstetricians - Gynecologists and Perinatologists of Georgia: “ Current issues of Practical Obstetrics & Gynecology”. Congress Organised by The Georgian Association of Obstetricians - Gynecologists and Perinatologists. Conference book page 51. October 4, 2013. .   |  |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 7. ქულა 2<br>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა, სტატეგიული გეგმის ფორმირების პრინციპები. პრაქტიკული სამუშაო: ანტენატალური მეთვალყურეობის პროგრამის შემუშავება კონკრეტული ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.   |  |
| X   | ლექცია  | WHO რეკომენდაციები დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების ეფექტური ინტერვენციების შესახებ. ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების ხელშეწყობის პროგრამა.<br>International Code of Marketing of Breast-milk Substitutes<br><a href="http://www.who.int/nutrition/publications/code_english.pdf">http://www.who.int/nutrition/publications/code_english.pdf</a><br>Marketing of breast-milk substitutes: National implementation of the international code. Status Report 2016<br><a href="http://www.who.int/nutrition/publications/infantfeeding/code_report2016/en/">http://www.who.int/nutrition/publications/infantfeeding/code_report2016/en/</a>                                |  |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 8. ქულა 2<br>სიტუაციური ამოცანა  |  |
| XI  | ლექცია  | ეფექტური ინტერვენციები დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად (საკითხის განხილვა ახალშობილთა სკრინინგის მაგალითზე; ასევე ეფექტური პერინატალური მოვლის პროექტის, ოჯახზე ორიენტირებული სამეანო დახმარების პროგრამის და სხვათა მაგალითზე.)<br><br>ლიტერატურა:<br><br>Importance of Newborn Screening<br><a href="https://www.cdc.gov/newbornscreening/">https://www.cdc.gov/newbornscreening/</a><br><br>Effective Perinatal Care (EPC) package Facts Sheet<br><a href="http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0019/253432/EPC-Package-presentation-May2014.pdf">http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0019/253432/EPC-Package-presentation-May2014.pdf</a> |  |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 9. ქულა 2<br>სიტუაციური ამოცანა<br>„Evening news“ -ის მოსმენა. 2 ქულა  |  |
| XII | ლექცია  | ქალთა უფლებები. ორსულებისა და მეძუძური დედების უფლებები. დეკრეტული შვებულება, შრომითი უფლებები და სხვ.   |  |


|      |   |   |  |
|------|---|---|--|
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 10. ქულა 2<br>სიტუაციური ამოცანა  |  |
| XIII | ლექცია  | ბავშვთა უფლებები. არასრულწლოვანთა უფლებები. ბავშვის უფლებათა კონვენცია. ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხები საქართველოს კანონმდებლობის მაგალითზე.   |  |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 11. ქულა 2<br>სიტუაციური ამოცანა<br>სტატიის კრიტიკული ანალიზის მოსმენა. 3 ქულა  |  |
| XIV  | ლექცია  | ქალთა და ბავშვთა საკითხებით დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციები UNICEF; WHO; IBFAN; Save the Children და სხვა<br>International and regional child safety organizations<br><a href="http://www.who.int/violence_injury_prevention/child/organizations/en/">http://www.who.int/violence_injury_prevention/child/organizations/en/</a> |  |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | ქვიზი 12. ქულა 2  |  |
| XV   | ლექცია  | ბავშვები სპეციალური ჯანდაცვითი საჭიროებებით. პროგრამები შშმ ბავშვებისათვის.<br>Jonathan B. Kotch - „Maternal and Child Health” Programs, Problems, and Policy in Public Health. Jones and Bartlett Learning, Third Edition, 2013. pp 285 - 301 .  |  |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა | მაგისტრანტების მიერ რეფერატების და პრეზენტაციების წარმოდგენა.<br>რეფერატის შეფასება: 2 ქულა<br>პრეზენტაციის შეფასება: 4 ქულა. კურსის საბოლოო მიმოხილვა.   |  |
|      |   | <b>დასკვნითი გამოცდა</b>  |  |
|      |   |   |  |

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი



სასწავლო კურსის სილაბუსი

|  |  |
|--|--|
| სასწავლო კურსის სახელწოდება  | საერთაშორისო ჯანდაცვა  |
| ავტორი (ავტორები)  | ნინო ჩიხლაძე- MD, PhD, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი<br>გიორგი ლობჯანიძე- MD, PhD.<br>ნატო ფიცხელაური- MD, PhD, თსუ მედიცინის ფაკულტეტის პოსტდოქტორანტი   |
| ლექტორი (ლექტორები)  | ნინო ჩიხლაძე- MD, PhD, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი<br>ტელ:599177545 ელ-ფოსტა: <a href="mailto:nino.chikhladze@tsu.ge">nino.chikhladze@tsu.ge</a> ;<br><a href="mailto:chikhladze.nino@gmail.com">chikhladze.nino@gmail.com</a><br>გიორგი ლობჯანიძე- MD, PhD.<br>ტელ:577628808 ელ-ფოსტა: <a href="mailto:giorgi.lobzhanidze@gmail.com">giorgi.lobzhanidze@gmail.com</a><br>ნატო ფიცხელაური- MD, PhD, თსუ მედიცინის ფაკულტეტის პოსტდოქტორანტი. ტელ:593207335 ელ-ფოსტა: <a href="mailto:nato.pitskhelauri@tsu.ge">nato.pitskhelauri@tsu.ge</a> |
| სასწავლო კურსის კოდი (არსებობის შემთხვევაში)   |  |
| სასწავლო კურსის სტატუსი<br> | მედიცინის ფაკულტეტი.<br>საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი სამაგისტრო პროგრამა «საზოგადოებრივი ჯანდაცვა»<br>სწავლების ენა- ინგლისური.<br>სავალდებულო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრანტებისათვის  |
| სასწავლო კურსის მიზნები  | კურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეისწავლონ ჯანმრთელობის დაცვის სისტემების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დეტერმინანტები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სისტემათა ევოლუცია ბოლო ათწლეულების განმავლობაში. სტუდენტები გაეცნობიან ჯანდაცვის პოლიტიკის თეორიებს და პრიორიტეტებს, სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციის მოდელებს ჯანდაცვის უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის დაზღვევის მხრივ.   |

|  |  |
|--|--|
|  | <p>ანაზღაურების, დაფინანსების და დაგეგმვის სისტემებს, განათლების, ტრენინგების და ადამიანური რესურსების შექმნის საკითხებს. სტუდენტები მიმოიხილავენ ჯანმრთელობის სტატუსის ძირითად დეტერმინანტებს და ჯანდაცვის ინდიკატორებს. განხილული იქნება ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა, მათ შორის ფინანსური ინსტიტუტების, კვლევითი დაწესებულებების, არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციების როლი.</p> <p>აქცენტი გაკეთდება ჯანდაცვის მართვის სტრატეგიებზე სხვადასხვა ქვეყნებში, რესურსების მობილიზების, განაწილების და შენარჩუნების მიზნით. სტუდენტები გაეცნობიან იმ კომპეტენციებს, რაც საჭიროა ჯანდაცვის სფეროში წარმატებული მენეჯერის ჩამოყალიბებისთვის სხვადასხვა ქვეყნებსა და საზოგადოებებში.</p>  |
| <p><b>კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად</b></p> | <p>10 კრედიტი (250 საათი)</p> <p>საკონტაქტო - 30 სთ. (15 სთ. - ლექცია, 15 სთ. - სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარი);</p> <p>შუალედური გამოცდა - 1 სთ.<br/>დასკვნითი გამოცდა - 2სთ.</p> <p>დამოუკიდებელი - 217 სთ.</p>   |
| <p><b>დაშვების წინაპირობები</b></p>  | <p>დაშვების წინაპირობა არ აქვს</p>   |
| <p><b>სწავლის შედეგები</b></p>   | <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b><br/>სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ სტუდენტმა იცის და აცნობიერებს ჯანდაცვის სისტემების თავისებურებებს გლობალურ პერსპექტივაში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში; იცის საერთაშორისო ორგანიზაციების როლის მნიშვნელობა და მათი ძირითადი მახასიათებლები.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b><br/>სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ სტუდენტს შეუძლია საერთაშორისო მასშტაბით პრაქტიკაში გამოიყენოს ჯანდაცვის სისტემების და ჯანდაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და მახასიათებლები.</p> <p><b>დასკვნის უნარი</b><br/>სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ სტუდენტს შეუძლია სწორად ამოიციოს ჯანდაცვის საჭიროებები და გააკეთოს კვალიფიციური დასკვნები</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b><br/>სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ სტუდენტს აქვს საერთაშორისო ჯანდაცვის საკითხებზე სპეციალისტებთან და</p> |

|   |  |
|---|--|
|   | <p>არასპეციალისტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი.</p> <p><b>სწავლის უნარი</b><br/>სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ სტუდენტს შეუძლია სწავლის და პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად გაგრძელება.</p> <p><b>ღირებულებები</b><br/>სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ სტუდენტს გამომუშავებული აქვს მრავალკულტურული და გლობალური გარემოსთვის ადექვატური ღირებულებები და პატოვს სცემს მათ.</p>   |
| <p><b>სასწავლო კურსის შინაარსი</b></p>                                  | <p>იხ. დანართი 1</p>   |
| <p><b>სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>                                 | <p>ლექცია, სემინარი, შემთხვევების გარჩევა, დისკუსია, დებატები, პრეზენტაციები.</p>  |
| <p><b>შეფასების ფორმები/კომპონენტები/<br/>მეთოდები/კრიტერიუმები</b></p> | <p>შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). აქედან:</p> <p>შუალედური გამოცდა - 20 ქულა;<br/>პრეზენტაციები-20 ქულა (ინდივიდუალური-10 ქულა და ჯგუფური-10 ქულა);<br/>ქვიზები (10)- 20 ქულა<br/>დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა (40 ტესტი, სწორი პასუხი 1-ქულა).<br/>შეფასების კრიტერიუმების დეტალური აღწერა იხილეთ „სტუდენტის ცნობარში“.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;<br/>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br/>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br/>(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br/>(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;</p> <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 31 ქულა.</p> |



|   |   |
|---|---|
| ძირითადი ლიტერატურა                         | Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br><a href="http://www.commonwealthfund.org/~media/files/publications/fund-report/2016/jan/1857_mossialos_intl_profiles_2015_v7.pdf">http://www.commonwealthfund.org/~media/files/publications/fund-report/2016/jan/1857_mossialos_intl_profiles_2015_v7.pdf</a> |
| დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა | Anne-Emanuelle Birn, Yogan Pillay, and Timothy H. Holtz. <b>Textbook of International Health: Global Health in a Dynamic World</b> . Third Edition. Oxford University Press, 2009.<br><br>ასევე გამოყენებული იქნება საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო პუბლიკაციები და ინტერნეტ რესურსები.  |

დანართი 1

სასწავლო კურსის შინაარსი

| კვირა |                        | ლექციის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის /პრაქტიკული მეცადინეობის თემა  | სთ-ბის რ-ბა კვირაში |
|-------|------------------------|--|---------------------|
| I     | ლექცია                 | თემატიკა: საერთაშორისო ჯანდაცვის სუბიექტების, სააგენტოების და პროგრამების ტიპოლოგია. ჯანდაცვის სისტემების ევოლუცია.<br><br>ლიტერატურა:<br>Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br>International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 3-1, 12-5. | 1 სთ.               |
|       | სამუშაო ჯგუფში მუშაობა | შემთხვევების განხილვა, დისკუსია.   | 1 სთ.               |
| II    | ლექცია                 | თემატიკა: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული ოფისები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი აქტივობები .   | 1 სთ.               |

|     |                              |  |       |
|-----|------------------------------|--|-------|
|     |                              | <p>ლიტერატურა:<br/> Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br/> International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 3-2, 3-5, 3-6.</p>   |       |
|     | სამუშაო<br>ჯგუფში<br>მუშაობა | <p>დისკუსია.<br/> ქვიზი #1.</p>  | 1 სთ. |
| III | ლექცია                       | <p>თემატიკა: <b>ჯანდაცვის მონაცემები, ხშირად გამოყენებადი ჯანდაცვის ინდიკატორები.</b></p> <p>ლიტერატურა:<br/> Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br/> International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 5-1, 5-2, 5-3.</p>   | 1 სთ. |
|     | სამუშაო<br>ჯგუფში<br>მუშაობა | <p>დისკუსია.<br/> ქვიზი # 2.</p>   | 1 სთ. |
| IV  | ლექცია                       | <p>თემატიკა: <b>ჯანდაცვის სისტემები.</b></p> <p>ლიტერატურა:<br/> Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br/> <a href="http://www.commonwealthfund.org/~media/files/publications/fund-report/2016/jan/1857_mossialos_intl_profiles_2015_v7.pdf">http://www.commonwealthfund.org/~media/files/publications/fund-report/2016/jan/1857_mossialos_intl_profiles_2015_v7.pdf</a></p> | 1 სთ. |
|     | სამუშაო<br>ჯგუფში<br>მუშაობა | <p>დისკუსია.<br/> ქვიზი # 3.</p>   | 1 სთ. |
| V   | ლექცია                       | <p>თემატიკა: <b>მსოფლიო მოსახლეობის და საცხოვრისის საყოველთაო</b></p>  | 1 სთ. |

|     |                        |  |       |
|-----|------------------------|--|-------|
|     |                        | <p>აღწერის გაეროს პროგრამის რამოდენიმე საკითხი და ზოგიერთი ეროვნული საყოველთაო აღწერის სააგენტოს ჩართულობა .</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br/>International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 5-4.</p>                                   |       |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა | <p>დისკუსია.</p> <p>ქვიზი # 4.</p>   | 1 სთ. |
| VI  | ლექცია                 | <p>თემატიკა: ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მეათე გადასინჯვის მიმოხილვა ICD10.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br/>International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 5-6.</p>   | 1 სთ. |
|     | სამუშაო ჯგუფში მუშაობა | <p>დისკუსია.</p> <p>ქვიზი # 5.</p>   | 1 სთ. |
| VII | ლექცია                 | <p>თემატიკა: ქვეყნები ახალშობილთა სიკვდილობის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით. სიკვდილობის 12 წამყვანი მიზეზი მსოფლიოში..</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br/>International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 5-7, 5-10.</p> | 1 სთ. |
|     | სამუშაო                | <p>დისკუსია.</p>   | 1 სთ. |

|      |                        |  |       |
|------|------------------------|--|-------|
|      | ჯგუფში მუშაობა         |  |       |
|      |                        | <b>შუალედური გამოცდა</b>   |       |
| VIII | ლექცია                 | <p>თემატიკა: სიკვდილობის 10 წამყვანი მიზეზი ქვეყნების შემოსავლების მიხედვით, 2002. დაავადებათა ტვირთის ძირითადი მიზეზები.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br/>International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 5-11, 5-12.</p> | 1 სთ. |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა | <p>დისკუსია.</p> <p>ქვიზი # 6.</p>   | 1 სთ. |
| IX   | ლექცია                 | <p>თემატიკა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეპიდემიოლოგიური ტერმინები. მიკრონუტრიენტების დეფიციტის რამოდენიმე ფუნქციური შედეგი.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.<br/>International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 6-1, 6-3.</p>   | 1 სთ. |
|      | სამუშაო ჯგუფში მუშაობა | <p>დისკუსია.</p> <p>ქვიზი # 7.</p>   | 1 სთ. |
| X    | ლექცია                 | <p>თემატიკა: ზოგიერთი მზარდი ინფექცია და მათ გაჩენის შესაძლო მიზეზები. შიმშილის მასშტაბი.</p>  | 1 სთ. |

|     |                              |  |       |
|-----|------------------------------|--|-------|
|     |                              | <p>ლიტერატურა:</p> <p>Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.</p> <p>International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 6-7, 8-1.</p>  |       |
|     | სამუშაო<br>ჯგუფში<br>მუშაობა | <p>დისკუსია.</p> <p>ქვიზი # 8.</p>   | 1 სთ. |
| XI  | ლექცია                       | <p>თემატიკა: დევნილების ძირითადი წყაროები მსოფლიოში. სიკვდილობის მაჩვენებლები რამოდენიმე განვითარებულ ქვეყანაში .</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.</p> <p>International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 8-2, 13-2.</p>   | 1 სთ. |
|     | სამუშაო<br>ჯგუფში<br>მუშაობა | <p>დისკუსია.</p> <p>ქვიზი # 9.</p>   | 1 სთ. |
| XII | ლექცია                       | <p>თემატიკა: მოსახლეობის განსაკუთრებით საყურადღებო ნაწილი გაეროს დევნილთა საბჭოს (UNHCR) მიხედვით. გლობალიზაციასთან, ვაჭრობასთან და სამუშაოსთან დაკავშირებული ძირითადი განმარტებები.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>Elias Mossialos and Martin Wenzl. International Profiles of Health Care Systems. London School of Economics and Political Science, 2016.</p> <p>International Health: Global Health in a Dynamic World. Third Edition. Oxford University Press, 2009. 8-6, 9-1.</p> | 1 სთ. |
